სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/213

ქ. თბილისი 11 დეკემბერი 2020 წ

საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირებული სახით დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, სამშენებლო ფაკულტეტის 2020 წლის 13 ნოემბრის საბჭოს სხდომის №8 ოქმის, ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 11 დეკემბრის №01-05-02/36 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოდიფიცირებული სახით დამტკიცდეს შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები:
   1.1. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „მშენებლობა“;
   1.2. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „მშენებლობა“;
   1.3. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „მშენებლობა“.
2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს 2020 წლის 16 დეკემბრიდან.
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**